საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №8/2004

2004 წლის 21 იანვარი

ქ. თბილისი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწის შტატის დაშვების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. არჩევნების პერიოდში იმ საარჩევნო ოლქში, სადაც საარჩევნო უბანთა რაოდენობა აღემატება 30-ს, დაშვებულ იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწის ერთი საშტატო ერთეული, სადაც საარჩევნო უბანთა რაოდენობა აღემატება 60-ს – დაშვებულ იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწის ორი საშტატო ერთეული, ხოლო იმ საარჩევნო ოლქში, სადაც საარჩევნო უბანთა რაოდენობა აღემატება 90-ს – დაშვებულ იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწის სამი საშტატო ერთეული. თავმჯდომარის თანაშემწის ანაზღაურება განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7[ა]) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ზ. ჭიაბერაშვილი

კომისიის მდივანი დ. ქიტოშვილი